

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2020 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის
ა(ა)იპებთან ურთიერთობის 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12
თებერვლის №19 დადგენილების შესაბამისად, განათლების, კულტურისა და სპორტის ა(ა)იპებთან
ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეული (განყოფილება) კოორდინაციას უწევს ამავე
დარგებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირებს.

მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა კომპეტენციის ფარგლებში მოიცავს:
ყოველდღიური კორესპონდენციის განხილვას, დამუშავებას და საპასუხო წერილების მომზადებას
კანონმდებლობით დადგენილი ვადების გათვალისწინებით. სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე
სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას. ასევე მერის დავალებით სხვა უფლებამოსილებების
შესრულებას.

განათლების, კულტურისა და სპორტის ა(ა)იპებთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია ჩვენს დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპების მიერ
წარმოდგენილი ბიუჯეტების გაცნობა, დაგეგმილი ბიუჯეტის შესწავლა და მათ შესრულებაზე
ზედამხედველობა.

მიმდინარე 2020 წლის პერიოდში ასევე განვიხილეთ მუნიციპალიტეტის მერთან შესათანხმებლად
ა(ა)იპების მიერ წარმოდგენილი საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები, იურიდიულ
განყოფილებასთან შეთანხმებით მომზადდა ბრძანების პროექტები.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებების უკლებლივ ყველა თანამშრომლის სახელფასო განაკვეთი გაიზარდა 100 ლარით.
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს სკოლამდელი განათლების როლს და მნიშვნელობას
ბავშვის განვითარებაში. ძლიერი, ხარისხიანი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების
მიწოდებას ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს.

თუმცა ქვეყანაში შექმნილმა საგანგებო ვითარებამ, პანდემიის რეჟიმმა ქვეყანა ახალი რეალობის და
გამოწვევების წინაშე დააყენა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის განათლების კუთხით. სწორედ
სკოლამდელი განათლების სხვადასხვა საფეხურზე მიმდინარე პროცესების უწყვეტობის შენარჩუნება
გახდა სახელმწიფოს, მათ შორის მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი მიზანი.

მოგეხსენებათ, სკოლამდელი განათლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში. ბავშვის
მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა შესაძლებელია
ერთობლივად, მშობლების, ოჯახის, სასწავლო დაწესებულებების, სახელმწიფოსა და სრულიად
საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, თითოეული ჩვენთაგანი სათანადოდ აცნობიერებს ამ სფეროს
მნიშვნელობას და ზრუნავს ადრეულ ასაკში ბავშვთა განათლებისა და განვითარების ხელშეწყობაზე.
იმისათვის, რომ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეფერხებულიყო
სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლება და განვითარება, საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური რეკომენდაციები,

რომელთა შესრულებით მშობელი შეძლებდა დისტანციურ რეჟიმში ბავშვის ჩართულობის უზრუნველყოფას.

პანდემიის კრიზისის პირობებში, (რაც გულისხმობს მიმდინარე წლის 2 მარტიდან , სასწავლო პროცესის ბოლომდე-ვილისამდე, და საზაფხულო არდადეგების შემდგომ 12 ოქტომბრიდან უკვე განახლებული სასწავლო პროცესის შეჩერებას 25 ნოემბრიდან დღემდე) სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების შეწყვეტის, დისტანციური სწავლების დანერგვის თვალსაზრისით სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, მასწავლებლების ერთობლივი ძალისხმევით, განათლების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები წარმატებით იქნა დაძლეული. თუმცა, თითოეული ოჯახისათვის სკოლამდელი განათლების მიწოდების სირთულეები კვლავ დარჩა გამოწვევად. მოგეხსენებათ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დისტანციურ რეჟიმში სწავლების გაგრძელებისთვის გაცემული საჭირო რეკომენდაციები, ჩვენი მუნიციპალიტეტის მიერ არაერთხელ იქნა გაზიარებული საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებისთვის.

გახანგრძლივებული არდადეგების პირობებში, ბავშვების განათლებასა და განვითარებაზე ზრუნვის მიზნით, აუცილებელ საჭიროებად იქცა მშობელთა მხარდაჭერა, რათა, სახლში გატარებული დრო საინტერესო და სახალისო ყოფილიყო თავიანთი შვილებისთვის. ამასთან დაკავშირებით, ჩვენმა განყოფილებამ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას შევთავაზეთ მშობელთათვის დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, ან სატელეფონო კავშირით, გაეზიარებინათ ის აუცილებელი რეკომენდაციები და მათ მიერ, დაგეგმილი საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საბავშვო აქტივობები , რომელთა სწავლებაც უნდა მომხდარიყო საანგარიშო პერიოდში. რაც მათ მიერ განხორციელდა წარმატებით. აღნიშნული აქტივობების ვიდეო ჩანაწერების ნახვა, რომლებსაც გვიზიარებდნენ აღსაზრდელების მშობლები, შესაძლებელი იყო ყველა სკოლამდელი დაწესებულებების ფეისბუქ გვერდებზე.

კორონავირუსის გამო ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის აღდგენამდე, სახლში გაატანონ მშობლებს ის არამალფუჭებადი პროდუქტები, რომლებიც მიმდინარე პერიოდში ბავშვთა კვებისთვის უნდა გამოეყენებინათ საბავშვო ბაღებში. არსებულ რთულ ვითარებაში მნიშვნელოვანია ყველა ის ქმედება, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობას, მათ განათლებას და განვითარებას შეუწყობს ხელს.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიებისგან სასწრაფოდ შეისყიდულ იქნა შერჩეული პროდუქტების სახეობები და მარაგები, რათა დახმარების მიზნით დაუყოვნებლივ გაცემულიყო საბავშვო ბაღებში სიით ჩარიცხულ ყველა ბავშვზე, შესაბამისი ოდენობებით პროდუქტი.

კვების პროდუქტების დარიგების ასეთი ქმედებები განხორციელდა ოთხ ეტაპად.

საკვები პროდუქტები ასევე ქველმოქმედების ფარგლებში 2 ეტაპად გადაეცათ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს ბენეფიციარებსაც.

პანდემიამ ხელი შეუშალა სპორტის ა(ა)იპ-ებს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში. მთავრობის რეკომენდაციებით ყველა კულტურული თუ სპორტული ვარჯიშები, მეცადინეობები და დაგეგმილი ღონისძიებები შეჩერდა. თუმცა რიგი სპორტული ღონისძიებები რომლებიც დაგეგმილი იყო არადახურულ სივრცეში არამედ ღია გარემო პირობებში მაინც ჩატარდა და ჩვენმა სპორტსმენებმა კარგი შედეგებიც უჩვენეს. აღსანიშნავია, რომ მცხეთის საფეხბურთო სკოლამ გაიარა კატეგორიზაცია და მიენიჭა მეოთხე კატეგორია.

მ/წელს ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე ძიუდოში მოასპარეზე ჩვენმა სპორტსმენმა დაიკავა მე-5 ადგილი და შეყვანილ იქნა საქართველოს ნაკრებ გუნდში.

წარმატებები მოიპოვეს ასე ა(ა)იპ სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლის ველომრბოლელებმა. გვყავს 2020 წლის გამარჯვებული ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ველომრბოლელი მედალოსნები. ასევე ოქროს მედალოსანი კარატისტი გოგონა.

შეწყვეტილი იყო ა(ა)იპ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფუნქციონირებაც.

რაც შეეხება ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის მულტიფუნქციურ ცენტრს, ჩატარდა სხვადასხვა კულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებები. 2020 წლის განმავლობაში მათ დაქვემდებარებაში არსებული ბიბლიოთეკები შეივსო 2000 ახალი წიგნადი ფონდით. ისევ და ისევ COVID 19-ით გამოწვეული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე მუშაობას ახდენდნენ დისტანციური სამუშაო გრაფიკით.

მათ დაქვემდებარებაში შემავალი ბიბლიოთეკები ემსახურებიან მკითხველებს წიგნის სახლში მიტანის სერვისით, მიმდინარებს ელექტრონული ბიბლიოთეკის განახლებაზე მუშაობა და აღნიშნული პროექტის ყველა ბიბლიოთეკაში დანერგვის მიზნით. საგანმანათლებლო კუთხით მოქმედი წრეები და საგნობრივი სწავლების წრეები მუშაობას განაგრძობდნენ დისტანციურად.

ა(ა)იპ-ებთან ურთიერთობის განყოფილება კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად და სრული პასუხისმგებლობით ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

ტურიზმის განყოფილების შესრულებული სამუშაოს ანგარიში

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ცენტრალური ევროპის სამოქალაქო ასოციაციას (AGORA), საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, კავკასიის გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციასა (CENN) და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის, რომლის მიზანია მცხეთა-მთიანეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) შექმნის ხელშეწყობა -ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო რესურსების მობილიზაციისათვის.

განხორციელდა ოლღას მონასტრის (ახალქალაქური), ქსნის ციხის, ქსნის წმ.გიორგის სახელობის ტაძრის და არმაზის ციხის საფეხმავლო ბილიკების მონიშვნა .

მცხეთის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის განყოფილების 2020 წლის მუშაობის ანგარიში

1. განახორციელა ზედამხედველობა სოფ.მისაქციელის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გადანაწილებაზე ნატახტრის კულტურის სახლში;
2. იმსჯელა ღვაწმოსილ პედაგოგების 2020 წლის 14 იანვარს დაგეგმილი საზეიმო ვახშმის დაფინანსების თაობაზე;
3. ითანამშრომლა „ეტალონი“ მედია-ს ჯგუფთან;
4. მოაწყო შეხვედრები საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვანები მომავლისთვის“ საერთაშორისო კონკურსის „მომავლის ვარსკვლავები“ ორგანიზების თაობაზე;
5. ითანამშრომლა ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს დაარსებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით, მის ადმინისტრაციასთან მცხეთის მუნიციპალიტეტში საიუბილეო გასტროლების ორგანიზების თაობაზე ;
6. ითანამშრომლა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, მათ მიერ ორგანიზებულ კონკურსში მცხეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების ჩართულობის თაობაზე ;
7. გამართა შეხვედრები და მოაწყო დისკუსია 2020 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე;

8. განახორციელა სოფელ ნიჩბისის მოსახლეობის კოლექტიური განცხადების განხილვა. მოსახლეობა ითხოვდა ქართულ-ხალხურ საკრავთა ანსამბლის აღდგენას და პედაგოგისთვის შტატის დაშვებას.
9. შპს „დემოსის“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში „სხვა საქართველო სად არის“ მონაწილეობის მიღების თაობაზე და მასტერ-კლასების გამართვის თაობაზე, გამართა 5 შეხვედრა კონკურსის ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან;
10. გაეცნო და განიხილა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის მიერ 2019 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში.
11. განახორციელა სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 4 თებერვლის N10-1/1182 წერილის განხილვა და შესაბამისი რეაგირება. საგურამოს საჯარო სკოლაში ვიზიტი და ენერგოპროჯექტის ადგილობრივ სერვისცენტრის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა, რის შედეგად მოხდა სკოლაში არსებული ტრანსფორმატორის უსაფრთხო იზოლირება.
12. განიხილა და წინადადებები მოამზადა „ქართული სამხატვრო კომბინატის“ შემოთავაზებებზე (დირექტორი ლევან სალუქვაძე) ;
13. გაეცნო „ეტალონის“ პირველადი შესარჩევის ტურის შედეგებს;
14. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სკოლის გარეთ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელოვნებო განათლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით თემატურ მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებით, მოახდინა არსებული მდგომარეობის აღწერა და ადრესატის სახელზე მოთხოვნილი ინფორმაციის გადაგზავნა;
15. მიიღო მონაწილეობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელის წერილის განხილვაში მოზარდთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით.
16. „Covid-19“ -თან დაკავშირებით რეგულაციების ამოქმედების თაობაზე, ინფორმირება მოახდინა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის ;
17. მოამზადა დოკუმენტაცია მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა დაჯილდოებისათვის;
18. გამოითხოვა ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ;
19. მონაწილეობა მიიღო პრეზენტაციაში „ჩაილდფანდ ინ ჯორჯიას“ პროექტის თაობაზე (სოფლის მეურნეობა, განათლება).
20. მონაწილეობა მიიღო გასვლით ღონისძიებებში, სკოლებში კოვიდ-19 რეგულაციების გატარებასთან დაკავშირებით ;
21. გაეცნო არსებულ მდგომარეობას „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის " პროგრამაში ჩართული მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 20 საჯარო სკოლის მონაცემებს;
22. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკისათვის პროდუქციის შესყიდვის თაობაზე ესაუბრა პროექტის ხელმძღვანელს (ბრაილის შრიფტით მოსარგებლე აუდიტორიისათვის წიგნების შესყიდვის თაობაზე);
23. 2020 წლის 26-27 სექტემბერს ქ. მცხეთაში, არსუკიდის ქ. N 12-ში 'მცხეთა ფესტივალი'-ს ღონისძიების ჩატარების თაობაზე, ესაუბრა ფესტივალის ხელმძღვანელებს;
24. განიხილა თხოვნა ვაჟა დურგლიშვილის საიუბილეო ღონისძიების მოწყობასთან დაკავშირებით;
25. განყოფილების უფლებამოსილების განხორციელების დისტანციურ რეჟიმში შენარჩუნებისთვის, შეიმუშა გრაფიკით მუშაობის პრინციპი;
26. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამუშაო ფუნქციონირების ნებართვის თაობაზე, ითანამშრომლა ა(ა)იპის ხელმძღვანელობასთან;
27. (ა)იპ -ის ადმინისტრაციაში „COVID -19 გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ყველა დადგენილება;

28. მოახდინა რეკომენდაციების განხილვა „ევროპის მემკვიდრეობის ძეგლების“ აღნიშვნასთან დაკავშირებით ;
29. განიხილა ა(ა)იპ „სამეფო ნაციონალური ბალეტის“ ხელმძღვანელის წერილი და გასცა დასაბუთებული პასუხი;
30. საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე, დაესწრო შეხვედრას საპატრიარქოს წარმომადგენლებთან. 31. მოახდინა საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 11 აგვისტოს N10-5/7963 წერილის განხილვა, რომელიც შეეხება, სახალხო დამცველის აპარატის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, 2019 წლის აპრილიდან დეკემბრის ჩათვლით, სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩატარებულ მონიტორინგს და დასკვნებს.
32. განიხილა ლია შუკაკიძის განცხადება მოზარდის ბანაკში გამგზავრებასთან დაკავშირებით.
33. განიხილა და მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს მიაწოდა ინფორმაცია სსიპ - „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ თხოვნის საფუძველზე.
34. განიხილა განცხადება ვაჟა კოზმანაშვილისთვის ქალაქ მცხეთის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების თაობაზე.
35. წერილობით მიმართა „წიგნის ბუდის“ ზედამხედველობისა და მონიტორინგის თაობაზე ა(ა)იპ -ს ადმინისტრაციას ;
36. მოახდინა შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ რექტორის, პროფესორ თამარ გარდაფხაძის წერილის განხილვა, რომელიც შეეხებოდა მათ მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებას;
37. მოახდინა პროექტ "გაიცანი მსოფლიო და განავითარე შენი რეგიონი-შენი ქალაქი" შესახებ -ა(ა)იპ დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ ხელმძღვანელს ბატონ ანზორ მეგრელიშვილს წერილის განხილვა, შეხვედრა, პრეზენტაციების მოსმენა ;
38. მსოფლიო მემკვიდრეობის საბჭოს საქმიანობაში ჩართვის და სათათბირო ხმის უფლების თაობაზე - გაუგზავნა წერილობითი მიმართვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორს ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს;
39. გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან , 6 წელზე ზემოთ ასაკის ბავშვებზე;
40. გამოითხოვა ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტში სკოლის გარეთ სახელოვნებო სასწავლებლების თაობაზე;
41. განიხილა წერილი - არტ-ობიექტის განთავსების თაობაზე - მოძრავი გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით ;
42. განიხილა „დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი ღონისძიების პროგრამა;
43. მოახდინა დამძობილებულ ქალაქ ირპენიდან ქ.მცხეთაში ბავშვთა ვიზიტის თანაორგანიზატორობა - ა(ა)იპ „ქართულ-უკრაინული პრესის სახლი“-ს ადმინისტრაციასთან; 44. მოახდინა ინგა ხუროშვილის მისაქციელის სკოლის დირექტორობიდან განთავისუფლების თაობაზე - კოლექტიური განცხადების განხილვა, ითანამშრომლა საგანმანათლებლო რესურსცენტრთან;
45. მოახდინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ „ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის, დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის“ დირექტორის ანა ჩხეტიანის 2020 წლის 13 ოქტომბრის N MES 3 20 0000984492 წერილის განხილვა;
46. მოახდინა მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა დოკუმენტაციის შეგროვება და კომისიისთვის წარდგენა.

47. მოახდინა განცხადების განხილვა სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობის თაობაზე (გოდერძი ჩოხელის შვილის დახმარების თაობაზე) ;

48. მიიღო მონაწილეობა „მცხეთობა -2020 “ - ში ; 49. მოახდინა მცხეთის N2 საჯარო სკოლის მე-12 კლასელი მოსწავლის ლუკა ზამბახიძის სასწავლო პროცესის ზედამხედველობა და სკოლის დამთავრების ატესტატის აღება, რადგანაც მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ აიღო ვალდებულება დაეფინანსა მისი 2019-2020 წწ. სწავლის საფასური.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების 2020 წელს გაწეული სამუშაოს ანგარიში

დღევანდელი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, დაწესებული შეზღუდვების გამო. სპორტული სეზონის მიმდინარეობის პროცესში შევაჯამეთ ჩატარებული შეჯიბრებები და ჩვენი სპორტსმენების მიერ მიღწეული შედეგები. ესენია:

1. 2020 წლის 8-13 თებერვალს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, იტალიის დედაქალაქ რომში დიდებს შორის, მონაწილეობა მიიღო მცხეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე სპორტსმენმა **ლევან არაბულმა** რომელმაც 130 კგ. წონით კატეგორიაში დაიკავა II საპრიზო ადგილი, მიღწეული შედეგისათვის გადაეცა 1000 ლარი.
2. საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკ გოგონათა შორის მცხეთის სახელით იასპარეზა **ნინო წიკლაურმა** 57 კგ. წონით კატეგორიაში და დაიკავა პირველი ადგილი, მისი მწვრთნელი არის ხვიჩა ეიკლაური. მიღწეული შედეგისთვის სპორტსმენს გადაეცა ჯილდო 500 ლარის ოდენობით, ხოლო მის მწვრთნელს 150 ლარი.
3. ნიჩბოსნობას რაც შეეხება, 2020 წლის 15-16 აგვისტოს, ქ. ფოთში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში იასპარეზეს **ოთარ მოთიაშვილმა** და **ნოდარ მარტოლეკმა**, უფროს ასაკში 2000 მეტრ დისტანციაზე 2X-ში და დაიკავეს პირველი ადგილი, მწვრთნელი გენადი პერტაია. **ქეთევან ჩხაიძემ** იასპარეზა ჭაბუკებში 1500 მეტრ დისტანციაზე 1X-ში და დაიკავა პირველი ადგილი, მისი მწვრთნელი არის დიმიტრი ლოლუა. **საბა ქველამემ** იასპარეზა ჭაბუკებში 2000 მეტრ დისტანციაზე 1X-ში და დაიკავა პირველი ადგილი, მან ასევე იასპარევე ჭაბუკებში 2000 მეტრ დისტანციაზე 2X-ში და დაიკავა პირველი ადგილი, მისი მწვრთნელი არის დიმიტრი ლოლუა, ხოლო **გიორგი ბურდულმა** იასპარეზა ჭაბუკებში 2000 მეტრ დისტანციაზე 2X-ში და დაიკავა პირველი ადგილი, მისი მწვრთნელი არის დიმიტრი ლოლუა. მიღწეული შედეგებისათვის მათ გადაეცათ ნოდარ მარტოლეკს 500 ლარი და 150 ლარი, ოთარ მოთიაშვილს 500 ლარი, ქეთევან ჩხაიძეს 500 ლარი, საბა ქველამეს 500 ლარი და 75 ლარი, გიორგი ბურდულს 250 ლარი, ხოლო მათ მწვრთნელებს გენადი პერტაიას 300 ლარი და 45 ლარი, დიმიტრი ლოლუას 150 ლარი, 45 ლარი და 45 ლარი.
4. 2020 წლის 26-27 სექტემბერს ქ.თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი საგზატყეცილო ველოსპორტში, სადაც მცხეთის სახელით მიიღო მონაწილეობა სოფ. ძეგვში მცხოვრებმა სპორტსმენმა **ავთანდილ ფირანიშვილმა**, რომელმაც იასპარეზა ინდივიდუალურ და ჯგუფურ რბოლაში, სადაც დაიკავა პირველი ადგილები, მისი მწვრთნელი არის ივანე რთველიაშვილი. მიღწეული შედეგისთვის გადაეცათ 1000 ლარი და 300 ლარი, მის მწვრთნელს ივანე რთველიაშვილს 300 ლარი და 90 ლარი.
5. 2020 წლის 10-11 ოქტომბერს ქ.თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ტრეკზე ველოსპორტში, სადაც მცხეთის სახელით მიიღეს მონაწილეობა მცხეთის მკვიდრმა სპორტსმენებმა **ავთანდილ ფირანიშვილმა**, რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა 200მ.გიტში ჯგუფ ელიტაში (დიდები), **საბა როსტიაშვილმა**, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა 4 კმ. ინდივიდუალურ რბოლაში ჯგუფ ელიტაში (დიდები), **ვალერი მამულაშვილმა** იასპარეზა 1 კმ. გიტი ჯგუფ ელიტაში (დიდები) და დაიკავა პირველი ადგილი, **ავთანდილ ბოჭორაძემ** იასპარეზა 200 მ. გიტი და 500მ. გიტი კადეტები (ახალგაზრდები) და დაიკავა პირველი ადგილი, მათი მწვრთნელი არის ივანე რთველიაშვილი. მიღწეული შედეგისთვის მათ გადაეცათ ფულადი

ჯილდო: ავთანდილ ფირანიშვილს 1000 ლარი, საბა როსტიაშვილს 1000 ლარი, ვალერი მამულაშვილს 1000 ლარი, ხოლო ავთანდილ ბოჭორაძეს 500 ლარი და 150 ლარი, მათ მწვრთნელს ივანე რთველიაშვილს 300 ლარი, 90 ლარი, 90 ლარი, 45 ლარი და 45 ლარი.

ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“ -ის მიერ დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობა და ახალგაზრდების ჩართულობის ორგანიზება პროექტ „Youth On Stage“-ში ონლაინ პლატფორმაზე. ვორქშოფისა და ფორუმ თეატრის მიზანი იყოს ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის დიალოგის წარმართვას, მსჯელობას სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხებზე, პრობლემებსა და ერთობლივი მსჯელობა პრობლემების გადაჭრის გზებზე. ვორქშოფის იდეა იყო ინოვაციური, სხვა ტრენინგებისა თუ შეხვედრებისგა გამორჩეული, კრეატიული და სახალისო.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად თანაორგანიზებით ევროპის სპორტული კვირეულის ორგანიზება, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში მასობრივი სპორტული ღონისძიებების და აქტივობების მოწყობას ერთი კვირის განმავლობაში სხვადასხვა ლოკაციაზე, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო მებისმიერ მსურველს. აღნიშნული ღონისძიება გაიმართა საქართველოს მასშტაბით.

განყოფილების მიერ ორგანიზება გაეწია ააიპ 7X7 ფეხბურთის ფედერაციისა და ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მხარდაჭერით საფეხბურთო ტურნირს „MASTER LEAGUE“-ს, რომელიც გაიმართა ოლიმპიური სისტემით, ჩატარდა ოთხ ეტაპად მუნიციპალური, რეგიონალური, ზონალური და ფინალური, სადაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდებმა.

2020 წლის 24 ოქტომბერს, სოფელ ქანდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ოლიმპიური ორგანიზაციის თაოსნობით, ჩატარდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ღია ჩემპიონატი საგზატკეცილო ველოსპორტში ქ. თბილისის და მცხეთის ველომრბოლელების მონაწილეობით. შეჯიბრება გაიმართა ორ ასაკობრივ ჯგუფში ორ დისტანციაზე ჩატარდა. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

ასევე განყოფილების თანაორგანიზებით, 17 და 18 ოქტომბერს, მცხეთაში ჩატარდა გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის ნიჩბოსნობის აკადემიის შიდა პირველობა აკადემიურ, ბაიდარებით, კანოეთი და სლალომით ნიჩბოსნობაში, რომლის ინიციატორი მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ოლიმპიური ორგანიზაცია იყო. შეჯიბრება სამ ასაკში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიურ ნიჩბოსნობაში საქართველოს ჩემპიონი ქეთევან ჩხეიძე პირველი სპორტსმენი გოგონაა მცხეთის ნიჩბოსნობის აკადემიაში, რომელმაც თავისი ასაკის ვაჟების ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და მეორე ადგილი დაიკავა. მცხეთის ნიჩბოსნობის აკადემიის მწვრთნელის, სოსო გაბრელიანის ძალისხმევით კი აკადემიაში გაცოცხლდა სლალომში ნიჩბოსნობა, რომელსაც მცხეთაში დიდი ტრადიციები ჰქონდა.

მონაწილეობა მივიღეთ ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ დაგეგმილ ონლაინ ტრენინგზე, სადაც ასევე დაესწრნენ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. განიხილეს სააგენტოს მიერ სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის შემუშავების პროცესი. ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთნენ სამუშაო თემატურ ჯგუფებში, აქედან გამომდინარე დოკუმენტი, რომელიც საქართველოში ახალგაზრდულ პოლიტიკას განსაზღვრავს, მათი უშუალო მონაწილეობით შეიქმნება.

ასევე მივიღეთ მონაწილეო სსიპ - „ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და

სამოქმედო გეგმის შექმნა/რევიზიას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივ დონეზე, განხორციელდა „ახალგაზრდების საჭიროებების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების კვლევა“, რომელიც შეეხო ისეთ საკითხებს როგორცაა: ახალგაზრდების უფლებებთან წვდომა, დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები. კვლევა მოიცავდა შემდეგ დონეებს: 1. სამაგიდე კვლევა; 2. რაოდენობრივი კვლევა; 3. თვისებრივი კვლევა; 4. ტექნიკური ანალიზი.

განყოფილება ასევე აწარმოებს მოლაპარაკებას და გამოთქვამს მზაობას ახალგაზრდობის სააგენტოსთან მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მუნიციპალიტეტში დასაქმებული ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება. განხორციელდეს - „ახალგაზრდების საჭიროებების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების კვლევა“, რომელიც შეეხება ისეთ საკითხებს როგორცაა: ახალგაზრდების უფლებებთან წვდომა, დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები. ადგილობრივ დონეზე ჩამოყალიბდა ერთიანი სექტორი, რომელშიც გაერთიანდნენ ახალგაზრდობის საკითხებით დაინტერესებული სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო სექტორის, მედიისა და სხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები. სექტორმა განხორციელებულ კვლევებზე დაყრდნობით, ერთობლივად იმუშავა ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნაზე, არსებულის რევიზიაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მიერ, მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით, სპორტსმენებზე და მათ მწვრთნელებზე, მიღწეული შედეგების მიხედვით გაიცა ერთჯერადად ფულადი ჯილდოები, რაც აისახა მათ მონდომებაზე და შედეგების სიმრავლეზე.